

ლუკა ნახუცრიშვილი

გია ნოდია: საქართველოს ალაგის ძიებაში IV

სტატუსი და სტატია

სიახლე არ არის, რომ დღეს საქართველოში საჯარო სივრცის მიზიდულობის ცენტრი ფეისბუკია. მაგრამ როგორ უნდა მოიქცე, როდესაც გსურს, შეეპასუხო პრესტიჟულად მიჩნეული ქართული უნივერსიტეტის პროფესორის მსჯელობებს თავის ფეისბუკ-გვერდზე, რითაც, აზვირთებული ანტი-რასისტული მოძრაობის კონტექსტში, აშშ-ში სტრუქტურული რასიზმის არსებობას ფარცხავს, დასავლური მონათმფლობელობის ისტორიას კი ისე შემოატრიალებს, რომ თავად დამონებულიები გამოვიდნენ დამნაშავენი? წამოიჭრება არსებითი მეთოდოლოგიური პრობლემა: რა კრიტერიუმით უნდა განისაჯოს ფეისბუკ-სტატუსი და თანმდევი კომენტარები? როგორი უნდა იყოს შეპასუხება, რათა ზედმეტი ლეგიმიტაცია არ მიენიჭოს მოსაზრებებს, რომლებიც ფორმით ფეისბუკ-სტატუსია, შინაარსით კი - სხვა თუ არაფერი, უკიდურესად პრობლემური?

ჩვენ გვაკლია თეორიული ჩარჩო, რომელიც მეცნიერული სიმწყობრით მოგვახელთებინებდა თანამედროვე ქართული საჯარო ინტელექტუალური ველის ძირეულ მანკიერებას, რასაც ფეისბუკის სპეციფიკური ინფრასტრუქტურა განაპირობებს. ამ მხრივ, XXI საუკუნის საქართველოსთვის არ გვაწყენდა იმის მსგავსი კვლევა, როგორიც პოლ მენინგმა მიუძღვნა XIX საუკუნის საქართველოში საჯარო სივრცის წარმოშობას.¹ არაფერი უდგას წინ, ფეისბუკი იყოს *მედიუმი*, რომელზეც მოხდება სამეცნიერო ნამუშევრის *რე-მედიაცია*, მისი გადაზიარება. თუმცა, ხშირად, ფეისბუკზე აქტიურობა გარკვეული სოციალური კაპიტალის უკვე მფლობელ მეცნიერთათვის არა - აკადემიური საქმიანობის დანაშაუნი, არამედ აკადემიური საქმიანობის ჩამნაცვლებელიც კია. მაგრამ ასეთი არ არის პოლიტოლოგი გია ნოდია. ის ფეისბუკ-ინტელექტუალობის მიღმა მეცნიერულად პროდუქტიულობა და არც საერთაშორისო აღიარება აკლია. თუ ნოდია ფართოდ კითხვადი ფეისბუკ-სტატუსები ერთგვარი ინტელექტუალური ვალუტაა, ამ ვალუტის გამამყარებელი ოქროს მარაგი ნოდია სამეცნიერო რენომეა, რისთვისაც, ოღონდ, სულაც არაა საჭირო, ვინმე მის აკადემიურ კვლევებს მართლა კითხულობდეს. მაგრამ იმის გასაგებად, მაინც რა ფუნქციას ასრულებს დასავლეთში რასიზმის შესახებ ნოდია მსგავსი საჯარო ინტელექტუალის სტატუსები და რა არის ამ ინტელექტუალური ვალუტის ნამდვილი ღირებულება, უმჯობესია, ნოდია ერთი სტატიის წაკითხვით დავიწყოთ, სადაც დასავლეთის შესახებ თავის მოსაზრებებს უფრო ვრცლად გვიზიარებს.

2018 წელს ინგლისურ ენაზე გამოცემულ კრებულში, რომელიც საქართველოში მოდერნიზაციის ფორმებსა და დისკურსებს ეხება, დაიბეჭდა ნოდია მოზრდილი ნარკვევიც, სადაც ავტორი უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე საქართველოში დანერგილი მოდერნიზატორული პროექტების თეორიულ კლასიფიკაციას გვთავაზობს.² ის მიიჩნევს, რომ საქართველოს პოსტსაბჭოთა, განსაკუთრებით ვარდების რევოლუციის შემდგომი, განვითარების ასახსნელად აქამდე გავრცელებული ახსნითი მოდელები: დემოკრატიული ტრანზიცია, ეთნიკური კონფლიქტები და სახელმწიფოს მშენებლობა, თემატურად ზედმეტად ვიწროა და ნორმატიული წანამდგრებიტაა დახუნძლული (29-30). ნაყოფიერ ალტერნატივას ის მოდერნულობისა და მოდერნიზაციის ცნებებში ხედავს მათი სიფართოვის საფუძველზე. თუმცა, იქვე აღიარებს, რომ ეს ცნებებიც არანაკლებ ნორმატიულ დაშვებებს შეიცავს. გამოსავლის სახით, ნოდია გვთავაზობს,

მოდერნულობის ცნების ამ შინაგან ნორმატიულობას, წყარუების ნაცვლად, უბრალოდ თვალი გავუსწოროთ (31). კეთილმოსურნე მკითხველიც ამ საწყის მეთოდოლოგიურ ბუნდოვანებას - მაინც რატომ შეიძლება იყოს მოდერნიზაციის ცნება სხვებზე უპირატესი - იმ იმედით ეგუება, რომ საქმე ავტორის ერთგვარ ჰეგელიანურ ოინთან გვაქვს: შემოთავაზებული ცნების უპირატესობა თავიდან, შესაძლოა, მყიფე, დაუფუძნებელი დებულება იყოს, მაგრამ გრძელი თეორიულ-ისტორიული შემოვლითი გზით ნოდია უსათაოდ მიგვიძღვება იმ წერტილამდე, საიდანაც თავდაპირველი არადამაჯერებელი დაშვება წარმოჩნდება, როგორც კონკრეტული გააზრების პროცესის გავლით გამართლებული *შედეგი*.

სანამ უშუალოდ ქართული შემთხვევის ანალიზზე გადავიდოდეს, ნოდია სტატიის უდიდეს ნაწილს მართლაც უთმობს მოდერნულობისა და მოდერნიზაციის გაგებათა ისტორიულ და თეორიულ გადაზრებას. იდეოლოგიურად, არა მხოლოდ სტატიის ამგვარი წყობაა სიმპტომური, არამედ ისიც არანაკლებ ნიშანდობლივია, რა აქვს მოსათხრობი XXI საუკუნის ქართველ ინტელექტუალს იმის თაობაზე, თუ რა არის ბოლო საუკუნეების ისტორიის საზრისი - არა იმდენად საქართველოს, რამდენადაც მსოფლიო ისტორიის. სტატიაში ქვეყნის დამსახურებული ტრანზიტოლოგი ჩვენს თვალწინ გარდაისახება ისტორიის ფილოსოფოსად. ამ მეტამორფოზის გასაგებად კი სტატია ბოლოდან დასაწყისისაკენ უნდა წავიკითხოთ. ვიღაცას თავდაყირა მდგომი ჰეგელის გადმოტრიალება ერგო წილად, რათა მისი თეორიის “მისტიკურ გარსს შიგნით რაციონალური მარცვალი” აღმოეჩინა.³ ვიღაცას - გვიანსაბჭოთა თბილისში დოგმატიზირებული მარქსის “გაადამიანურება” ჰუმანისტური მარქსიზმის მეშვეობით.⁴ ჩვენ კი - ცოდნის საჯარო ლეგიტიმაციის უკუღმართ რეჟიმში, სადაც ფეისბუკ-სტატუსი ჯაბნის სამეცნიერო სტატიას, ხოლო სტატიას არავინ კითხულობს - ნოდის უკუღმა წაკითხვას უნდა დავჯერდეთ.

მოდერნიზაციები საქართველოში

ნოდია გვთავაზობს, გავართულოთ თავად მოდერნიზაციის ის ცნება, რომელიც ცივი ომის დროს, საბჭოთა, “მეორე მსოფლიოსთან” კონკურენციაში განავითარეს ამერიკულ აკადემიურ სივრცეში ე.წ. “მოდერნიზაციის თეორიის” ავტორებმა. ამისთვის ავტორს საქართველო ესახება გამორჩეულად კარგ მაგალითად, რადგან ქვეყანამ მოდერნიზაციის სულ მცირე სამი სახე გამოიარა: მეფის რუსეთის დროინდელი კოლონიური, საბჭოთა და ვარდების რევოლუციის შემდგომი მოდერნიზაციები. მაგრამ ნოდია რაც არ უნდა ხაზი გაუსვას, რომ მოდერნიზაციის მისეული ცნება განსხვავებულია უშუალოდ 1950/60-იანი წლების “მოდერნიზაციის თეორიისგან” (32), მოდერნიზაციის ქართულ გამოცდილებათა მისეული აღწერა მაინც მთლიანად ძველი ამერიკული კრიტერიუმებითა და პათოსით რჩება ნასაზრდოები. იდეალად აღებულია მოდერნულობის კაპიტალისტური და ლიბერალურ-დემოკრატიული ვარიანტი და დემოკრატიის წმინდად პროცედურული, სუბსტანციისგან დაცლილი გაგება, სადაც პოლიტიკას ელიტები აკეთებენ (კომპლექსურ მოდერნულ საზოგადოებებში ხომ ლაპარაკი ზედმეტია რაიმე ტიპის პირდაპირ დემოკრატიაზე). პლურალიზმიც, შესაბამისად სხვადასხვა პოლიტიკურ და ექსპერტულ ელიტას შორის ძალაუფლების გადანაწილებისთვის ბრძოლას უტოლდება, “ხალხის” თანამონაწილეობა კი არჩევნებზე მისვლით შემოიფარგლება, რადგან მისი ნებისმიერი ზედმეტი ჩართულობა მოდერნიზაციას უმაღლეს შეაფერხებს.⁵

ნოდია აღნიშნავს, რომ საქართველოში “მოდერნიზაციაზე” საუბარი განცხადებულად მხოლოდ ვარდების რევოლუციის შემდეგ, რადიკალური რეფორმების კონტექსტში, დაიწყო და გულისხმობდა ქართული ეროვნული სახელმწიფოს დაფუძნებას ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპზე; ერის ეთნოცენტრული გაგების ჩანაცვლებას სამოქალაქო ნაციონალიზმით; “მოდერნული ლიბერალური ეკონომიკის შექმნას” და “საზოგადოებრივ და მენტალურ რევოლუციას”, რომლებიც ქართულ საზოგადოებას დასავლეთთან დაახლოებდა (46). მართებულად ესმება ხაზი იმას, რომ სააკაშვილის გუნდის მხრიდან მოდერნიზაციაზე საუბარი პარადოქსული იყო და სინამდვილეში რე-მოდერნიზაციაზე უნდა ვისაუბროთ, რადგან დამოუკიდებლობის მიღებამდე საქართველოს უკვე ჰქონდა გამოვლილი მოდერნიზაციის საბჭოთა ვარიანტი (46), რომლის მერეც ერთგვარი დე-მოდერნიზაცია მოხდა. თუმცა, საქართველომ დე-მოდერნიზაცია განიცადა არა მხოლოდ 1990-იანი წლების ინსტიტუციურ ჩამოშლაში, არამედ დე-მოდერნიზაციის ტენდენცია თავად საბჭოთა კავშირის მოწყობაშივე იყო ჩაწერილი: ერთი მხრივ, საბჭოთა მოდერნულობაც დასავლურივით ურბანიზებული, ინდუსტრიალიზებული, სეკულარული და განათლებული იყო (45); გასაბჭოებულ საქართველოში ეროვნული ბიუროკრატიული და ინტელექტუალური ელიტის აღზევებამ, საქართველოს სსრ-ს მმართველი კლასის ეთნიკურად გაქართველებამ და ეროვნული კულტურისა და განათლების ინსტიტუციონალიზაციამ შექმნა წინაპირობა პოსტსაბჭოთა ეროვნული სახელმწიფოსთვის. მეორე მხრივ, მოქალაქეობის ეთნიკური პრინციპით განსაზღვრამ და სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის განსხვავების მოშთობამ საბჭოთა მოდერნულობასვე გამოუთხარა ძირი (54-58), რაკი სრულფასოვანი მოდერნულობის ერთ-ერთ უმთავრეს კრიტერიუმად საზოგადოების ფუნქციური დიფერენციაცია მიიჩნევა. სწორედ ამგვარი, “სწორი” მოდერნიზაციის ჩანასახს ხედავს ნოდია 1918-1921 წლების რესპუბლიკაში, რომლის წიაღშიც, სახელწმიფოებრივი კონსოლიდაციის გზაზე ეთნიკურ უმცირესობებთან კონფლიქტების გვერდით, ქმედითი სამოქალაქო საზოგადოება და დასავლურ მოდერნულობასთან დაახლოების განცხადებული მისწრაფება შეინიშნებოდა (53-54). ამის წინაპირობა კი ნოდიასთვის, მეფის რუსეთის ქვეშ საქართველოს კოლონიურმა მოდერნიზაციამ შექმნა, რამაც ქვეყანას მოუტანა ცენტრალიზაცია, ბიუროკრატიული და სამართლებრივი რაციონალიზაცია, ურბანიზაცია, კაპიტალიზმის განვითარება, დაამკვიდრა ევროპული იდეები და ცხოვრების წესი, ინტელექტუალური ელიტა რუსულ უნივერსიტეტებში აზიარა ევროპული ყაიდის განათლებას და, რეპრესიულობის მიუხედავად, საშუალება მისცა სამოქალაქო საზოგადოებას, ჩამოეყალიბებინა ის ეროვნული თვითშეგნება, რომელმაც ქართული ელიტა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის შეამზადა (50-53).

“მოდერნიზაციის თეორიის” ზემოთ აღწერილი ელიტისტური ეთოსიდან გამომდინარე გასაკვირი არცაა, რომ ნოდიას მიერ მოთხრობილ ისტორიაში “ხალხი” როგორც აქტიური პოლიტიკური აქტორი ან საერთოდ არ ფიგურირებს ან მხოლოდ ორი საუკუნის თავზე, 2012-ში გამოჩნდება, ისიც მოდერნიზატორი ხელისუფლების გადამრჩეველი ურჩი მასის როლში. ვინაიდან მოდერნიზაცია, თავად სააკაშვილის ხელისუფლებისთვისაც და “ხალხისთვისაც”, ვესტერნიზაციას უტოლდებოდა, “ნაციონალური მოძრაობის” მმართველობისადმი საზოგადოებრივი წინააღმდეგობა ნოდიას “ქართველობის” წარმევის შიშით გამოწვეულ კულტურულ რეაქციაზე დაყავს (61). ნახსენები არცაა “ნაციონალური მოძრაობის” გადარჩევის სხვა ფაქტორები, იქნება ეს რეპრესიული პოლიციური და პენიტენციური რეჟიმი⁶ თუ

რადიკალური ეკონომიკური ლიბერალიზაციის შედეგად საზოგადოების ფართო ფენების განმარცვა⁷, ანუ ყველაფერი ის, რაც ფორსირებული მოდერნიზაციის საფასური იყო.

ერთია, რომ მოდერნიზაციის ცნების პოლიტიკურ-ელიტისტური დავიწროვება შინაარსობრივად აღარიბებს ქართული რეალობის აღწერას, მაგრამ ეს კიდევ შეიძლება შერჩეული თეორიული ჩარჩოს მიერვე ნაკარნახები ლოგიკური ტრაექტორია იყოს. სხვაგვარადაა საქმე, როცა, თავისი ლამის ყოვლისმომცველი თეორიული ამბიციის ფონზე, სტატია ფუნდამენტურად ნაკლულია მეთოდოლოგიურად. წარუმატებელია ავტორის მცდელობა, ერთმანეთს მიუსადაგოს სტრუქტურული, თეორიული ფაქტორები და კონკრეტული ემპირიული მოვლენები; არაკონსისტენტური, სრულებით შემთხვევითი და შერჩევითი რჩება, რა ფაქტორს რა ემპირიული თუ თეორიული წონა აქვს მთლიან არგუმენტაციაში, როდის რა ფაქტორს ენიჭება უპირატესობა და აბსტრაქტულობისა თუ კონკრეტულობის რა ხარისხით. მაგალითისთვის ავიღოთ სტატიის დასასრული, სადაც, წესით, როგორც სიმფონიის ფინალში, ყველა მოტივის სინთეზი უნდა მოხდეს, ჩვენ კი სტატიის წანამდღვრებისა და ცნებობრივი აპარატის შეუკავშირებელი, ბუნდოვანი ნაღვეების ამარა ვრჩებით:

კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს რა ფრენის ფუკუიამას თეზისს, რომ საბჭოთა მოდერნულობაზე დასავლურის გამარჯვების შემდეგ მსოფლიოს მოწყობის საბოლოო ჰორიზონტად კაპიტალისტური, ლიბერალურ-დემოკრატიული მოწყობა დარჩა (49), ნოღია, ჩინეთის გვერდით, სააკაშვილისეულ საქართველოსაც მოიაზრებს “ორაზროვანი” - კაპიტალისტური, მაგრამ არა დემოკრატიული - მოდერნიზაციის ნიმუშად. მისი აზრით, “ნაციონალური მოძრაობის” მმართველობის მეთოდები “ავტოკრატიული მოდერნიზაციისა და ჭეშმარიტი დემოკრატიის მახასიათებლების კომბინაცია” იყო (64). მაგრამ უფრო დაკვირვებული წაკითხვისას აღმოჩნდება, რომ “ჭეშმარიტი დემოკრატიის” ერთადერთ საბუთად ნოღიას “ნაციონალური მოძრაობის” მიერ 2012 წელს ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება მოყავს, ავტორიტარიზმის მაგალითებად კი - არათანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნა და კონსტიტუციური ცვლილებები პარლამენტისა და სასამართლოს ხარჯზე აღმასრულებელი ხელისუფლების გასამდიერებლად. დადებით და უარყოფით ფაქტორებს შორის უთანაზომო, ყალბი სიმეტრია მყარდება, ვინაიდან, ტექსტიდანვე გამომდინარე, “ნაციონალურ მოძრაობას” თავისი მმართველობის *განმავლობაში* ავტორიტარულობის მეტი არაფერი გამოუვლენია, დადებითი ფაქტორი კი მხოლოდ მმართველობის დასასრულს გამოვლენილ ერთ ჟესტზე დგას. გარდა ამისა, ნოღიას სააკაშვილის ხელისუფლების აქტორებიდან და მათი ქმედებებიდან აქცენტი გადააქვს ეკონომიკურ განუვითარებლობასა და პოლიტიკურ კულტურაზე. საქართველო ჯერაც რომ ვერ შედგა სრულფასოვან ლიბერალურ დემოკრატიად, “ნაციონალური მოძრაობის” ბრალი კი არ არის (მან, რაც შეეძლო, გააკეთა: არჩევნების გზით დათმო ხელისუფლება), არამედ იმისა, რომ საზოგადოება ჯერაც ვერ გარდაიქმნა სათანადოდ (64). არგუმენტაციის ამგვარი შემოზრუნებით ნოღია თითქოს ძირს უთხრის იმ მთავარ თეორიულ დაშვებას, რის დაფუძნებასაც სტატიის მთელი პირველი ნახევარი მიუძღვნა. დაშვება მდგომარეობდა იმაში, რომ *პირვანდელი*, “ორიგინალური” დასავლური მოდერნულობის დაწევაზე მიმართულ გვიანდელ მოდერნიზატორულ პროექტებში, *სტრუქტურულ* მოცემულობებთან შედარებით, განმსაზღვრელი როლი სწორედ კონკრეტულ *აქტორებს* ენიჭებათ (39).

დადგა დრო, სტატიის პირველ ნახევარს ჩავეძიოთ. მისი კითხვისას ვხვდებით, რომ სტატია არცაა მაინცდამაინც საქართველოზე და ნაყოფია პერიფერიული ინტელექტუალის ამბიციისა, ახსნას,

არც მეტი არც ნაკლები, ბოლო ხუთ საუკუნეში მსოფლიო ისტორიის სრბოლა - რაც სულაც არ იქნებოდა დასაძრახი, ამას გამარჯვებულის პერსპექტივიდან და გამარჯვებულთან მისაკედლებლად რომ არ აკეთებდეს.

საკვირველი მოდერნულობა

საქართველოს “მრავლობით მოდერნიზაციებზე” ნოდისეული მსჯელობა მეტ-ნაკლებად ნაცნობი პერსპექტივაა, რომლის თანახმადაც, რუსეთის იმპერიის გაბატონების შემდეგ საქართველო მოექცა დასავლური გლობალიზაციის ორბიტაზე. ამ განვითარებას ჯერ კიდევ XIX საუკუნის ქართული ინტელიგენცია მიესალმებოდა, როგორც საქართველოს ჩართვას მსოფლიო ისტორიის ფერხულში. თუმცა, ნოდია იზიარებს ქართველ ინტელექტუალთა გარკვეული წრის ორაზროვან განცდასაც, რომ საქართველო, რომელიც რუსეთის შემოსვლამდე “მოდერნულობის პროექტის გარეთ იმყოფებოდა”, მოდერნულობის ნაწილი გახდა ისე, რომ არც რუს კოლონიზატორს და არც კოლონიზებულს არ გაუვლია ის კულტურული ფაზები, რის გამოც დასავლეთი მოდერნულობის “ორიგინალ” ნიმუშად ისახება: რენესანსი, რეფორმაცია, განმანათლებლობა, ინდუსტრიალიზაცია (50). და რადგან ამერიკულმა “მოდერნიზაციის თეორიამ”, იურგენ ჰაბერმასის თქმის არ იყოს, მოდერნულობა თავის კულტურულ-ისტორიულ ფესვებს მოწყვიტა და განყენებულ, დროისა და ადგილისგან დამოუკიდებლად უნივერსალიზებად მახასიათებელთა ნაკრებად აქცია,⁸ ნოდის თითქოს გადაუწყვეტია, საზოგადოების მოდერნიზაციის პრობლემა თავის კულტურულ საწყისებთან დააბრუნოს. ამით ლამობს, ისტორიული და კულტურული ფაქტორით შეასწოროს “მოდერნიზაციის თეორიის” მიდგომა, რომელმაც სტრუქტურულ კონსტანტად გაახევა ის, რაც ევროცენტრულ იდეოლოგიას დასავლეთის გეოგრაფიულ-ცივილიზაციური სივრცის უნიკალურ, თვითნაბად ნაყოფად მიაჩნია.

ნოდია შენიშნავს, რომ არსებობს უამრავი თეორია, რომელიც ცდილობს, ამოიცნოს დასავლური მოდერნულობის რომელიმე მთავარი, წარმმართველი ფაქტორი - ინდუსტრიალიზაცია, საზოგადოების ფუნქციური დიფერენციაცია, სუვერენული ერი-სახელმწიფოების წარმოშობა თუ რელიგიის მიერ გამთლიანებული სამყაროს “განჯადოება” და ფრაგმენტირება. რადგან საბოლოო პასუხს ვერასოდეს მივაღწევთ, ნოდის უმჯობესად მიაჩნია, მოდერნულობის მთავარ მახასიათებლად ავიღოთ აღმატებულობის ის განცდა, რაც ადამიანსა თუ საზოგადოებას უჩნდება, როცა აცნობიერებს საკუთარ წარსულთან ძირეულ წყვეტას. ეს დროითი ბზარია, რაც მოდერნულობას განსაზღვრავს, როგორც დროისა და საკუთარი ისტორიულობის მომეტებულ ცნობიერებას პრე-მოდერნული, “ბნელი” შუა საუკუნეებისგან “ახალი დროის” გამიჯვნით (33-34). ავტორი აქ რომ გაჩერებულიყო, საქმე მოდერნულობის კლასიკურ ევროპულ თეორიასთან გვექნებოდა. მაგრამ ნოდია დროით ბზართან ერთად გამოყოფს სივრცით ბზარსაც, რომლითაც მოდერნული ადამიანი უკვე საკუთარ წარსულს კი არ ემიჯნება, არამედ თავის თანამედროვეებს, რომლებიც სხვა გეოგრაფიულ-ცივილიზაციურ სივრცეებში სახლობენ (34). სწორედ სივრცითი ბზარის შემოტანით ხსნის ნოდია პანდორას ყუთს, რომელსაც დანარჩენ სტატიამი ვეღარაფრით ხურავს.

სივრცითი ბზარი განისაზღვრება, როგორც “ღრმა ნაპრალი”, რომლის ერთ მხარესაც არის ევრო-ატლანტიკური “დასავლეთი” (the West), მეორე მხარეს კი - “დანარჩენი” (the Rest). ნოდია

გვამცნობს, რომ მოდერნულობის დადგომით მსოფლიოში ძალთა ბალანსი ფუნდამენტურად შეიცვალა და “დასავლეთი“ ყოველმხრივ გაბატონდა “დანარჩენზე“. დასავლურ იდეებსა და ღირებულებებს შესაძლოა აკრიტიკებდნენ,

“მაგრამ დასავლეთის აღმატებულობა ადვილად გაზომვად მაჩვენებლებზეც დგას: დასავლეთი დანარჩენის წინააღმდეგ ომებს იგებს, დასავლეთში ხალხი ბევრად უფრო დალბენილია, დასავლურ ინსტიტუციებს, ტექნოლოგიასა და ცხოვრების სტილს ეჯიბრება დანარჩენი, მაგრამ არა პირიქით; დასავლეთის გარეთ მცხოვრებ ხალხს სურს დასავლურ ქვეყნებში გადაბარგება (მაშინ, როცა საპირისპირო მოძრაობა ბევრად იშვიათია)“ (34).

მკითხველს უჩნდება ლეგიტიმური მოლოდინი, რომ ავტორი არ დაგვტოვებს დასავლეთის უპირატესობის ფსევდო-პოზიტივისტური “გაზომვადობის“ ამარა. მაგრამ, საბოლოოდ, გამოდგება, რომ დაპირებული მეთოდოლოგიური უპირატესობა, რაც მოდერნულობის ცნებაში ჩადებული ნორმატიულობისთვის თვალის გასწორებას უნდა მოეტანა, უბრალოდ დასავლეთის უპირატესობის ნორმატიულობაა. დასავლეთი უპირატესია, რადგან გაიმარჯვა და ეს “ადვილად გაზომვადი“ ფაქტია.

ნოდია ყველანაირად ცდილობს, მოდერნულობა ევროპის წიაღიდან სრულიად თვითკმარად ამოზრდილ მოვლენად წარმოაჩინოს (რაც კიდევ შეიძლება მართებული იყოს, როცა საქმე დროით განზომილებას, ევროპის მიერ საკუთარ წარსულზე თვითრეფლექსიას ეხება). მაგრამ რაწამს ახსენებს სივრცულ-ცივილიზაციურ ბზარს, ველარაფრით გვიხსნის, თუ რანაირად და რატომ შედგა საერთოდ “დასავლეთსა“ და “დანარჩენს“ შორის ის კავშირი, რამაც მათ შორის ძალაუფლებრივი ასიმეტრია გააჩინა. შემოთავაზებული გადაწყვეტა ვერანაირი საღი მეცნიერული მსჯელობის სტანდარტში ვერ ეწერება და სრულიად აუკუღმართებს მიზეზ-შედეგობრივ მიმართებებს. “დანარჩენზე“ “დასავლეთის“ გაბატონება წარმოჩინდება როგორც მათ შორის არსებული ნაპრაღის *შედეგი* (40) და არა როგორც *მიზეზი*, რამაც უბრალოდ კი არ გამოავლინა დასავლეთის წინწასულობა და დანარჩენის ჩამორჩენილობა, არამედ კოლონიზაციის კონკრეტული მექანიზმებით *ჩამოირჩინა* დამარცხებულები. ავტორისთვის ხსენებადაც არ ღირს კოლონიზებულთა მონური შრომის საფუძველმდებარე როლი დასავლეთის ეკონომიკურ დაწინაურებაში, რისგანაც განუყოფელია სხვათა ძალისმიერი ჩამორჩენა, მათი მიზანმიმართული გადაგდება განუვითარებადობის მდგომარეობაში (ე.წ. underdevelopment). ხოლო, დასავლური ექსპანსიის შემთხვევაში უხსენებელი საუკუნოვანი მონური შრომა ნოდის მხოლოდ საბჭოთა იძულებითი შრომის ბანაკებზე საუბრისას რომ ახსენდება, მორიგი დასტურია მსჯელობის აბსტრაქტულ და კონკრეტულ, სისტემურ და ემპირიულ ფაქტორებს შორის დისპროპორციისა. რაღაც ამოუცნობი ლოგიკური მანქანებით, ნოდის სურს, დასავლეთის ბატონობა და ჩამორჩენილზე ძალადობის უპირატესი უფლება *შედეგი* იყოს ისე, რომ ძალადობა და ბატონობა არ იყოს ამ შედეგის *მიზეზი*.

აქვე აღსანიშნია ისიც, რომ კოლონიების ყვლეფა, როგორც დასავლეთის მატერიალური დაწინაურების საწინდარი, არაა ერთადერთი რამ, რაც დასავლური მოდერნულობის თვითკმარობის არგუმენტს აბათილებს. შეურყვნელი, ხელთუქმნელი შობის სახით წარმოიდგენენ ხოლმე იმ კულტურული სიკეთეების წარმოშობასაც, რისთვისაც დასავლეთს მისი დანაშაულებებისა და მიუხედავად უნდა ვმადლობდეთ. როცა აპელირებენ უნივერსალიზმზე, ჰუმანიზმზე, რაციონალიზმზე, როგორც დასავლეთის ექსკლუზიურ პროდუქტებზე,

უგულებელყოფენ იმას, რომ ჰუმანიზმისა და რაციონალიზმის უნივერსალურობის უმთავრესი ფუნქცია არა საყოველთაო ემანსიპაცია, არამედ ადამიანთა მთელი ჯგუფების *ექსკლუზია* იყო, როგორც არაადამიანურებისა და არაგონივრულებისა. მოდერნულობის სიკეთეები უნივერსალისტური - კონკრეტულ ძალისხმევებზე დამოკიდებული უსასრულო პროცესის გაგებით - მხოლოდ იმ ხალხის ბრძოლების წყალობით გახდა, ვისაც დასავლური უნივერსალიზმი გამორიცხავდა.⁹

მაგრამ ნოდია რაც უფრო მეტად ცდილობს, გაწყვიტოს დასავლეთის წინწასულობისა და დანარჩენის ჩამორჩენის ურთიერთგანმაპირობებელი, საფუძველმდებარე კავშირი, მით უფრო გამაღებით უწევს 1) რეანიმაცია გაუკეთოს მსოფლიოისტორიულ პროცესის ჰეგელიანურ მისტიფიკაციებს, 2) წაუყრუოს და ლეგიტიმაცია ჩამოართვას კრიტიკულ ლიტერატურას, რომელიც დასავლურ მოდერნულობასა და მის კოლონიურ ექსპანსიას შორის სტრუქტურულ კავშირს ანალიზებს, და 3) როგორც ევროცენტრიზმის კრიტიკა, ისე მატერიალურ სინამდვილეში გაბატონებული ევროცენტრიზმი დაიყვანოს წაგებულთა ბოლმასა და დასავლეთთან დამსგავსების შურიან წადილზე. სამივე თეორიული მანევრი მეტი ყურადღებით გარჩევას იმსახურებს, რადგან, ძლიერთან მიკედლებულის თავმომწონეობით, ნოდია სწორედ მათზე ჩამოაკონწილებს პერიფერიული არასრულფასოვნების კომპლექსის ამ თეორიულ ძეგლს.

რატომ მოხდა მაინცდამაინც დასავლეთში მოდერნულობის სასწაული? როგორ მიაღწიეს ინგლისელებმა საბაზრო ეკონომიკისა და ლიბერალური დემოკრატიის “ჯადოსნურ კომბინაციას”? - ნოდია არ ასვენებს ეს გამოცანა, მაგრამ, საბოლოოდ, მისი პასუხი ამ საიდუმლოს სიდიადის წინაშე კაპიტულაციაა. ვინაიდან ურთულესია, ერთიანი ახსნა მოუძებნო პირვანდელი დასავლური მოდერნულობის წარმოშობას, ერთადერთი ახსნა რჩება: “ეს უბრალოდ ასე მოხდა” – It just so happened (39). (არადა, ნოდია - ამერიკული “მოდერნიზაციის თეორიის” უისტორიო, სტატიკური მიდგომის საპირისპიროდ - დასავლეთში მოდერნულობის აღზევების ისტორიული პროცესი უნდა ეჩვენებინა.) გინდ “ზედისწერა, ღვთაებრივი განგება ან შემთხვევითობა” მივიჩნიოთ დასავლეთის დაწინაურების საფუძვლად, მთავარ თეორიულ ოინად ისევ “შედეგზე” (result) ჰეგელიანური სწორება რჩება. თვითონ ჰეგელთან ისტორიის დიალექტიკური პროცესის შედეგზე სწორება თავადვე აშიშვლებს საკუთარ იდეოლოგიურობას, რაკი ისტორიულ შედეგს გვასაღებს მოცემულობად, რომლისკენ მიმავალი ისტორიული გზაც შედეგის *ახსნაზე* მეტად შედეგის გარდაუვალობის *გამართლებას* ემსახურება.¹⁰ დასავლური მოდერნულობის ერთ-ერთ ძირეულ ფაქტორადაც ჰეგელი ევროპული გონის “გარეთკენ სწრაფვა[ს]”, “თავისი დედამიწ[ის]” გაცნობის წადილს ასახელებს¹¹ და მის მიდგომას ტელეოლოგიურ რიხს ევროპაში ჩასახლებული მსოფლიო გონის შესახებ წარმოდგენა ანიჭებს. ნოდია კი იღებს ამერიკული “მოდერნიზაციის თეორიის” ძველ მასალას, ოღონდ ამ თეორიის მიმდევართა ცივი ომისდროინდელი სამომავლო ოპტიმიზმის გარეშე,¹² და ჰეგელიანურად წარსულისკენ მიმართავს გამმართლებლის მზერას. და რაც უფრო იჟინებს დასავლური მოდერნულობის თვითნაბადობას, მით უფრო შიშვლდება მისი თეორიული კონსტრუქტის სიღარიბე და ცინიზმიც: ერთადერთ მამოძრავებელ ძალად და სივრცეთა მაკავშირებლად რჩება დასავლეთის ჩექმა და გამარჯვებულის სიმართლე, რომელიც “აღმართს ხნავს”.

მოდერნულობის შიდაევროპულ თეორიებს სიმწყობრეს, როგორც წესი, კოლონიალიზმზე მათი თანმიმდევრული დუმილი ანიჭებს. ეს არა მხოლოდ მოდერნულობის აპოლოგეტებს ეხება, არამედ მის ევროპელსავე კრიტიკოსებსაც. ვინც მოდერნულობასა და კოლონიალიზმს შორის

სტრუქტურულ კავშირს უსვამს ხაზს, შენიშნავს, რომ კოლონიალიზმისადმი თეორიული სიბრმავე ლოგიკური სიმპტომია, რადგან ევროპის სივრცის შიგნით მხოლოდ მოდერნულობა და მისი სიკეთეები “ჩანს”, ხოლო, კოლონიალიზმი, მოდერნულობის ეს “ზნელი მხარე,” ევროპამ ოკეანის გადაღმა გადაიტანა.¹³ ამ აზრით, ნოდია ნიმუშია პერიფერიული თეორეტიკოსისა, რომელიც დასავლეთის პოზიციიდან ლაპარაკობს, მაგრამ თან დასავლელ თეორეტიკოსთა საიდუმლოს უკმეხად წამოაყრანტალებს და დარბაზში უხერხულობას ქმნის.

აქ არაა ადგილი - და მით უმეტეს არც საჭიროება -, ნოდია დავარწმუნოთ, რამდენად გადახლართულია მოდერნულობა და კოლონიურობა. ნოდია, როგორც მეცნიერი, საკუთარ პოზიციას თვითონვე უწევს დისკრედიტაციას იმით, რომ თავად გადმოალაგებს პანდორას ყუთიდან კოლონიალიზმის და ძალადობის საკითხებს და ახსენებს პოსტკოლონიურ თეორიებსა თუ დამოკიდებულობის თეორიას (dependency theory), რომელთაც კოლონიალიზმში შეიცნეს დასავლეთის მატერიალური უპირატესობისა და კულტურული ჰეგემონიის სტრუქტურული პირობა. მაგრამ მაშინ, როცა მეცნიერული ეთიკა მოითხოვს, სრულფასოვან დისკუსიაში შეხვიდე კრიტიკული კვლევების საერთაშორისოდ აღიარებულ კორპუსთან, ერთადერთი, რითაც ნოდია ამ კორპუსს აბათილებს, ფსევდო-ნიცშეანური აპელირებაა ძლიერისადმი სუსტის პლეზეურ ბოღმაზე ანდა სინდისის ქენჯნაზე, რაც, მისი თქმით, დასავლელ მარქსისტებს აწუხებდათ დასავლეთის მიერ ჩადენილ ქმედებათა ნიადაგზე (36-38).¹⁴ “მესამე სამყარო“, როგორც გლობალური ცენტრის მიერ ჩამორჩენილი პერიფერიის პრობლემა, “წარმოსახულ ჩამნაცვლებლად“ ირაცხება. ნოდია წარმოდგენით, დასავლეთის კრიტიკოსები “მესამე სამყაროთი“ მასე მერე დაინტერესდნენ, რაც, გაურკვეველი მიზეზების გამო, 1968 წლის მოვლენებმა საბოლოოდ დაუკარგათ პროლეტარიატის, როგორც გამწევი ისტორიული ძალის, რწმენა (37). არა უშავს, თუ მწყობრი მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისა და გამომდინარეობების ადგილს აქაც დაბოღმილ მეცნიერთა შესახებ ფსიქოლოგიკური ვერდიქტები იკავებს. მთავარია, რომ რასაც პოლიტკორექტულობით შებოჭილი დასავლელი ინტელექტუალი ვერ აღიარებს, პერიფერიაში მისი მოკავშირე იტყვის სიმართლისათვის თავდადებულის პათოსით.

მაიმუნური გონების კრიტიკა

ნოდია სულაც არ უარყოფს, რომ “მოდერნული დასავლეთი შედგებოდა საკუთარი ინტერესების მქონე მოთამაშეებისგან, რომელთაც თავიანთი განვითარების უპირატესობა თავიანთ სასიკეთოდ გამოიყენეს და ამ დროს მათი საქციელი ხშირად არაკეთილსინდისიერი, სასტიკი და მყვლეფავიც იყო. ამიტომ, სრულიად ლეგიტიმურია ანტი-დასავლური რესენტიმენტის მიღმა მდგომი წუხილები.“ მთავარია, დასავლური კოლონიალური ძალადობა არ იქნეს განხილული, როგორც მისი დაწინაურების სტრუქტურულად განმსაზღვრელი ფაქტორი. ამის აღსაკვეთად ნოდია პრობლემის მართვად გადაჭრას პოულობს: დასავლეთის ესა თუ ის ძალადობრივი ქმედება და მათი კრიტიკა “მორალურ საკითხად“ ირაცხება. ნოდია კი, როგორც ობიექტურ, ემოციებით აუზღვრეველ მეცნიერს, “უფრო კონცეპტუალური საკითხი“ აინტერესებს, კერძოდ, ის უტყუარი “ფაქტი“, რომ დასავლეთმა უპირატესობა მოიპოვა დანარჩენზე და პირველმა ჩამოაყალიბა ის იდეები და ინსტიტუციები, “რომლებმაც დასავლეთს სხვებზე სწრაფად განვითარების საშუალება მისცეს (თუნდაც გველიარებინა, რომ დასავლეთის ეს პირველობა ისტორიული შემთხვევითობა იყო)“. ყველაფერი დანარჩენი წაგებულთა იდეოლოგიაა, რომლის გასაშიშვლებლადაც ნოდია

სულ უფრო დაჟინებით უსვამს ხაზს სენტიმენტალურ დასავლელთა სინდისის ქენჯნისა თუ ანტი-დასავლელ “დანარჩენთა” დაბოლმეობის ბუნებრიობასა და ინსტინქტურობას.

ინსტინქტურობის ფაქტორი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს მაშინ, როცა ნოდია შენიშნავს, რომ, რაგინდ ძალადობრივად შეჭრილიყო დანარჩენებში მოდერნულობა, დასავლეთის უპირატესობის გაცნობიერებამ მათშივე აღძრა რთული, თვითშეფასების დამაქვეითებელი წადილი, მიებაძათ დამპყრობლისათვის (36). “არსებობს არა მხოლოდ უფრო სუსტებზე ბატონობის მიდრეკილება, არამედ კიდევ ერთი ბუნებრივი ადამიანური სწრაფვა: მიბაძო ყველაზე წარმატებულებს“. რაც არ უნდა წყინდეთ თეორეტიკოსებს, ვინც კოლონიური პერიფერიების კოლონიზატორ ცენტრზე დამოკიდებულობას აკრიტიკებს, სუსტები “ამას თავიანთივე არჩევანის საფუძველზე აკეთებენ” (40). ფსიქოლოგიზმის, ვიტალიზმის, ლიბერალიზმისა და დარვინიზმის ამ კოქტეილს ნოდია “მწარე რეალობის” შეულამაზებლად მომწოდებლის, უილუზიო დამკვირვებლის მზვაობრობით გვაწვდის. ბუნებრივ ინსტინქტზე აპელირება იმ ნატურალისტურ საძირკვლად იქცევა, რითაც ნოდია დასავლური ძალადობრივი ექსპანსიიდან მტკიცებულებითი წონა თავად დამარცხებულებში დასავლეთისადმი მიმსგავსების წადილზე გადააქვს.

რაც არ უნდა აქა-იქ გაკრთეს დასავლეთის პირვანდელი ძალადობა, ტექსტის მთლიანი ეკონომიიდან გამომდინარე მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ ერთ მშვენიერ დღეს არა-დასავლელებმა დასავლეთი უბრალოდ “აღმოაჩინეს” და მისი მიბაძვის ჟინით აენტნენ. უძრავი მამოძრავებელივით აღუშფოთველი დასავლეთი კი, თავისთვის იყო, და “ისე მოხდა, რომ მათზე გაბატონდა” (came to dominate) - ნოდია ჯენტლმენური ინგლისური ფორმულირებით. შემდეგ ისეც მოხდა, რომ დასავლეთი ჩამორჩენილებისადმი “თავისთავად ცხადი აროგანტულობით” დაავადდა, რასაც, ოღონდ, “ორიენტითა” და “პირველყოფილებით” (native) რომანტიკული მოხიზლულობა ედებოდა მაღამოდ (35). ამგვარად, ნოდია ისე იცილებს ორიენტალიზმის პრობლემას (ედვარდ საიდის მიერ აღწერილი კულტურული დისპოზიტივის გაგებით, რითიც დასავლეთი ძალაუფლებას ახორციელებს აღმოსავლეთზე) და კოლონიზებული ხალხების რასობრივი კლასიფიკაციის საკითხს, რომ მათი ხსენებაც კი არ სჭირდება. საბოლოოდ, გამოდის, რომ ევროცენტრიზმის საზრისი ცენტრიდანულ ბატონობაზე მეტად ცენტრისკენული მიზიდულობაა. მსოფლიოს ევროცენტრულობა ხომ “ხისტი ფაქტია” (hard fact) და მაგნიტურად იზიდავს მის მამაგებლებსაც და მიმბაძველებსაც. მაგრამ რასაც ნოდია “მეთოდოლოგიურ ევროცენტრიზმს” (38) უწოდებს, ისეც ბანალური ევროცენტრიზმი გამოდგება, რომელსაც, “ფაქტის” ფეტიშიზმისა და მიზეზ-შედეგობრივი აღრევების პირობებში, მეთოდოლოგიურობის ბევრი არაფერი ცხია. მისი მეთოდოლოგია დგას მხოლოდ ინსტინქტური მიმბაძველობის დაშვებაზე, რომლითაც ბოლო საუკუნეების მთელ ისტორიულ დინამიკას განმარტავს. მიმბაძველობის ნოდიასეული გაგება ჰომი ბაბას მიერ შემუშავებული კოლონიური მიბაძვის (mimicry) ცნების ბოროტი ორეულივითაა: მაშინ, როცა ბაბასთვის კოლონიზატორთან კოლონიზებულის მიმსგავსება ყოველთვის შეიცავს განსხვავების დაუყვანელ ნაშთს და კოლონიზატორის პაროდიად - ან საერთოდაც მის წინააღმდეგ ჯანყად - იქცევა, ნოდია მიბაძვას ყოველგვარი პროდუქტიულობისგან ცლის და სრულიად კლაუსტროფობიულ, საბედისწერო დეტერმინიზმს აჯაჭვავს.¹⁵

რაწამს ნოდია დაადგენს, რომ პირვანდელი, “ორიგინალური” მოდერნულობა თვითნაბადი, ხელთუქმნელი წარმონაქმნია, მოდერნულობის სიკეთეების შემდგომი თანდათანობითი

გავრცელება მსოფლიოს დანარჩენ ნაწილებში ორიგინალის მიბაძვების ფატალურ სერიად იქცევა. ამის აღსაწერად კი მთელ რიგ ცნებობრივ დიქტომიებს გვთავაზობს: არსებითად, *მოდერნულობა* ერთია, დასავლური, დანარჩენები კი - *მოდერნიზაციები*. პირვანდელი მოდერნულობა განისაზღვრება როგორც *პროცესი*, როგორც მრავალი სტრუქტურული ფაქტორის სასწაულებრივი, მაგრამ ბუნებრივი გადაკვეთა (It just so happened...), ყველა დანარჩენი კი - მოდერნიზაციის *პროექტებია*, ორიგინალის დაწვევის ხელოვნურ ღონისძიებათა ერთობლიობა. შესაბამისად, პირვანდელი მოდერნულობა უფრო *სტრუქტურული* კუთხითაა განსახილველი, მოდერნიზაციის პროექტებში კი ბევრად დიდი დატვირთვა მოდის კონკრეტული *აგენტების* ძალისხმევაზე, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი “თავიანთივე არჩევანის საფუძველზე” იწყებენ დასავლეთის მიბაძვას (38-41). პროცესსა და პროექტს, სტრუქტურასა და აგენტობას შორის ხისტი გამიჯვნა საშუალებას აძლევს, ნაგვიანვე მოდერნიზაციებში გაიტანოს ხელთქმნილობა, ხელოვნურობა, განზრახულობა და დაფაროს ის, რომ, სინამდვილეში, “პირვანდელი” მოდერნულობაც მოდერნიზაციის პროექტი იყო (და არის), რომელიც მრავალი ფრაგმენტული ძალაუფლებრივი ღონისძიებისგან შედგება.¹⁶

ევროპული ორიგინალის ბუნებრიობა იმასაც გულისხმობს, რომ მხოლოდ მასში ემთხვევა ერთიმეორეს პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორები და ცივილიზაციური წინაპირობები. ყველა შემდგომ მოდერნიზაციაში კი მათი დაუმთხვევლობა (ანუ საზოგადოების კულტურული მზაობის არარსებობა) თვითონ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მოდერნიზაციასაც ხარვეზიანს ხდის. ყველას უწევს იჩქაროს, რათა ცოტათი მაინც დაეწიოს მოდერნულობის მიუწვდომელ ორიგინალს, და ყველა მაინც გარდაუვალად ნაგვიანვე რჩება. ამიტომ ნოდია არც შმუელ ეიზენშტადტს ეთანხმება, რომელმაც “მრავლობითი მოდერნულობების” ცნება სწორედ იმისათვის შემოიტანა, რომ სხვადასხვა დროსა და სივრცეში მოდერნიზაციის უნიკალური ტრაექტორიებისთვის გაეწია ანგარიში (რაგინდ თითოეული მათგანისთვის ისევ ევროპული მოდერნულობა ყოფილიყო საორიენტაციო ნიშნული).¹⁷ ნოდისათვის, ეს უბრალოდ მულტიკულტურალიზმთან კომპრომისია და ყველანაირ მოდერნულობას ვერ მიენიჭება თანაბარი ღირებულება. საერთოდ, მოდერნულობათა სიმრავლეს დასავლეთის გამოგონილია: აკი მანვე წარმოშვა მოდერნულობის, ერთი მხრივ, ანგლო-საქსური ლიბერალური ვარიანტი, რომელიც პლურალიზმსა და ფუნქციურ დიფერენციაციას ასაზრდოებს, მეორე მხრივ კი იაკობინური ვარიანტი, რომელიც ინდივიდუალურ სპონტანურობას ეჭვის თვალით უყურებს, ბუნებაზე გონების ზედმიწევნით გაბატონებას ეთანამშება და დიფერენციაციის ნაცვლად კონტროლსა და ინტეგრაციაზეა მიმართული. მაშასადამე, გვიანი მოდერნიზაციის პროექტები იმ დროსაც კი დასავლური ორიგინალისგან სესხულობენ ტრაექტორიას, როცა მასთან სწრაფად დასაწევად, როგორც წესი, საზოგადოებრივი სფეროების დიფერენციაციას მათ ინტეგრაციას არჩევენ ხოლმე (42-44).

იმპლიციტურად, კრიტიკის საგანი ხდება ამერიკული “მოდერნიზაციის თეორიაც”, რადგან ის ამერიკულ, ლიბერალურ მოდერნულობასა და საბჭოთა კომუნიზმს მოდერნულობის ორ თანაბარძალოვან ალტერნატივად განიხილავდა. ნოდისათვის, საბჭოთა პროექტს იმთავითვე დაღი დაასვა იმ გარემოებამ, რომ პროლეტარული რევოლუცია, მარქსის პროგნოზის საპირისპიროდ, არაინდუსტრიულ ქვეყანაში მოხდა და, შესაბამისად, საბჭოთა კავშირი აიძულა, სწრაფი, ფორსირებული მოდერნიზაციის პროექტად ქცეულიყო. სწორედ აქ ახსენებს ნოდია გულაგებში გამოყენებულ მონურ შრომასაც, რომელმაც 1930-იან წლებში საბჭოთა მეურნეობის დაჩქარებულ განვითარებას შეუწყო ხელი (46-47). რესურსების ამ კომუნისტური

“პირველყოფილი დაგროვების“ ხსენების ფონზე კი, მით უფრო თვალშისაცემი ხდება, რომ სტატიაში ვერსად ვერ ვკითხულობთ იმ “პირველყოფილი დაგროვების“ შესახებ, რამაც თავის დროზე კოლონიალისტური ევროპა დააწინაურა კოლონიზებულთა ყვლეფის ხარჯზე. სხვანაირად უბრალოდ გაუგებარი დარჩება, მაინც რამ გახადა ევროპის განვითარება გამორჩეული და ნახტომისებრი და საერთოდ, რატომ დადგა განვითარების საკითხი. ნოდისა შეეძლება, ერთგან თქვას, დასავლეთი განვითარებაში სხვებზე უფრო სწრაფი გამოდგაო (36), მეორეგან კი აღნიშნოს, დასავლეთისთვის სისწრაფე პრობლემა არ ყოფილა, რადგან არავისთან დაწევა არ უწევდაო (44), და ორივე ნათქვამი ლიტონ სიტყვებად დარჩება, სანამ ყურადღება არ მიექცევა კოლონიური კავშირის განმსაზღვრელ როლს დასავლეთის დაწინაურებაში. სულ არაა აუცილებელი, ნოდისა მოვთხოვოთ, თავისი ინტელექტუალური ბიოგრაფიის იმ მონაკვეთს დაუბრუნდეს, როცა ტრანზიტოლოგი პავლე ჯერ კიდევ ჰუმანისტი მარქსისტი საველე იყო, და მარქსისტულ პოლიტეკონომიურ ჭრილში აგვიხსნას დასავლეთის მსოფლიოისტორიული აღზევება, მაგრამ ეკონომიკური ფაქტორის ცოტათი უფრო მკაფიოდ გამოკვეთა მაინც არ გვაწყენდა.

თუ ნოდისა სტატიის მასპინძელი კრებულის შესავალი მოდერნულობას განიხილავს, როგორც ყოვლისმომცველ ჰორიზონტს, რომელსაც ვერსად გაექცევი და მის წიაღში ნებისმიერ ტრადიციაზე ჩამოკიდებაც მხოლოდ “გამოგონილ“ ტრადიციონალიზმად, შიდადამოდერნულ ანტიმოდერნულობად იქცევა, ნოდია მოდერნულობის ცინიკური, ლამის გროტესკული ხატების ანაზარა გვტოვებს, სადაც გვიან მოსულები უმწეოდ, “ხამურად“ ბამავენ წარმატებულ, აუხსნელ ორიგინალს.¹⁸ დასავლეთის ტრიუმფი 1989 წელს კი არ დადგა, როგორც ფუკუიამა ამტკიცებდა, არამედ დასავლეთი გამარჯვებული ჯერ კიდევ ხუთი საუკუნის წინ იყო. ისტორია არ დასრულებულა საბჭოთა კავშირის დაცემით, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ის უკვე დასრულებული იყო ხუთასი წლის წინ, და, ამის გამო, მომდევნო საუკუნეებში წამოწყებული ნებისმიერი შეწინააღმდეგება და ალტერნატივა იმთავითვე წაგებული ბრძოლაა. თუ “მრავლობითი მოდერნულობების“ კონცეფციით ეიზენშტადტი ლამობდა, ერთი მხრივ, პირვანდელ მოდერნულობასთან დანარჩენების სტრუქტურული კავშირი, მეორე მხრივ კი, თითოეული ამ გვიანდელი მოდერნულობის სპეციფიკა და უნიკალურობა მოეხელთებინა, ნოდისთან ვითარება ისე უკუღმართდება, რომ ცალკეულ გვიანდელ მოდერნულობათა სპეციფიკური იერსახის კავშირის შინაარსი ევროპულ მოდერნულობასთან მაიმუნურ წამბამველობაზე დადის. ის თან აუფასურებს ევროპული მოდერნულობის შემდგომ მთელ ისტორიას, არა-დასავლური სივრცეების ისტორიას, და თან აზუნებრივებს, ამართლებს იმას, რაც მოხდა. იმიტომ არ შეუძლია ნოდისა მსგავს მიდგომას, არ იყოს აპოლოგეტური მის მიერ აღწერილი ისტორიისადმი; იყოს აპოლოგეტური არა იმდენად იმის მტკიცებაში, თუ რატომაა დასავლეთი ასეთი მაგარი, არამედ იმის მუდმივ ცინიკურ ახსნაში, რატომ არ შეუძლიათ დანარჩენებს, არ იყვნენ ასეთი “ლუზერები“. როცა პროგრესის ტელეოლოგიური რწმენა ისევე ცოცხალია, როგორც XIX და XX საუკუნის ქართველ ინტელექტუალებთან იყო, მეფის რუსეთის დროს საქართველოს ვესტერნიზაციის პირველი ტალღაც არათუ უბრალო ფაქტობრივ მოცემულობად, არამედ “დასაფასებელ“ და მის მსოფლიოისტორიულ გონივრულობაში გასამართლებელ განვითარებად ინათლება. მაგრამ როცა პროგრესის, როგორც რეალური ისტორიული ძალის, რწმენა დაკარგულია, XXI საუკუნის მედასავლეთე ინტელექტუალს ცარიელ ორიენტირად რჩება სადღაც სხვაგან უკვე მომხდარი, დასრულებული პროგრესი, რომლის წიხლიც სასიამოვნოა და მისდამი უთავმოყვარეო მიზიდულობაც ბუნების კანონად ირაცხება.

წაბადვის გარდაუვალი ინსტინქტით განპირობებულ სისწრაფეში შეუძლებელიცაა, შეცდომა შეცდომაზე არ დაუშვა, და საბოლოოდ, ბოლშევიკებიც და “ნაციონალური მოძრაობაც” ყოველთვის იძულებულები იქნებიან, ავტორიტარიზმს მიმართონ. რასაკვირველია, ამგვარი ხედვა პრობლემური იმის გამო კი არაა, რომ ვიდაცების ქმედებათა ისტორიულ, ხანდახან მართლაც ლამის საბედისწერო, დეტერმინირებულობას უსვამს ხაზს, არამედ იმიტომ, რომ ევროპულ მოდერნულობასთან შედარებით ყველაფერ დანარჩენს დაგვიანებულ ფაფხურად თარგმნის, და, შესაბამისად, მსჯელობასაც სრულად ცლის ისტორიულობისგან.

შემთხვევითი არ არის არც ნოდის მიერ მსოფლიო ისტორიის ასახსნელად შემოთავაზებული “მაიმუნური გონი” და არც ის, რომ სტატიაში საქართველოს მაგალითი მსოფლიო ეპოპისათვის დართულ კუდმოფრცქვნილ სქოლიოდ რჩება. დიპეზ ჩაკრაბარტი პროვინციალიზაციას უწოდებს ინტელექტუალურ ძალისხმევას, რომელიც უნივერსალურობაზე პრეტენზიის მქონე გაბატონებული ძალისა და იდეოლოგიის ისტორიზაციას ისახავს მიზნად, რათა მისი შემთხვევითობა, სპეციფიკური დროითი და სივრცითი კონტექსტით განპირობებულობა წარმოაჩინოს.¹⁹ პროვინციალიზაცია კრიტიკული ჟესტია, რომელიც უნივერსალისტური იდეოლოგიის პარტიკულარულ წარმომავლობას აშიშვლებს. ამ მხრივ, ნოდია, პირიქით, აფირმატიული პროვინციალიზაციის ნიმუშია: ის დასავლეთის მოწინავეობას იმისთვის უსვამს ხაზს, რომ მისი დაწინაურების პარტიკულარულობაზე ხაზგასმით, ევრო-ამერიკულ პროვინციაზე მისი ფეტიშური მიწეპებით, გაქვავებულ მოცემულობად გადააქციოს “დანარჩენის” უუნარობა, ოდესმე მოახერხოს “ორიგინალთან” დაწვევა სიჩქარეში კისრის წამტვრევის გარეშე. მოდერნულობის ადვოკატი ნოდია ამით ისეთ ზიანს აყენებს მოდერნულობის იდეას, რომ მის სიკეთეთა ჭეშმარიტ უნივერსალიზაციასაც ყოველგვარ გზას უკეტავს. (რასაკვირველია, თუ მოდერნულობის, რაგინდ ევროცენტრულ, ნორმატიულობას ვინარჩუნებთ როგორც სახელმძღვანელო პრინციპს.)

ნოდის ნააზრევს სტრუქტურა პერიფერიული ინტელიგენციის იმ მსოფლმხედველობაში ეწერება, რომელიც პოლ მენინგმა აღწერა გაზეთ “დროებას” გარშემო შემოკრებილი 1860/80-იანი წლების ქართველი პუბლიცისტების მაგალითზე.²⁰ პერიფერიული ინტელიგენცია დამარცვლით გამოთქვამს იმას, რაც დასავლურ ცენტრში იმპლიციტური რჩება: ცენტრი, როგორც წესი, წაშლის თავისი ჰეგემონიის მიზმულობას უშუალოდ დასავლეთის გეოგრაფიულ სივრცეზე (ანდა თუ მოდერნულობის სიკეთეებს დასავლურ ექსკლუზივად წარმოაჩენს, ჰეგემონიას სწორედ მათი უნივერსალური გაზიარებადობით იმყარებს). პერიფერიაში კი, ხშირად იჩენს თავს გამოკვეთილი მოთხოვნილება, დასავლური მოდერნულობის პროექტის უნივერსალიზმს ხელშესახები ადგილი მიეჩინოს გეოგრაფიულ დასავლეთში. ამ გადამეტებული ლოკალიზაციით ამტკიცებს პერიფერიული ინტელექტუალი ევროპასთან საკუთარ მიკუთვნებულობას - რისი საჭიროებაც ცენტრიდან მოლაპარაკე ინტელექტუალს არ უდგას - და, ამიტომაც, კიდევ უფრო უდარდელად აბუნდოვანებს უნივერსალისტური იდეის დროით და სივრცულ განპირობებულობას. ხოლო, როცა ნოდია ინგლისურად მოუთხრობს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებას მსოფლიო გონის მოგზაურობის შესახებ, მისივე თავგამოდების სიჭარბე გათქვამს მის პერიფერიულ დიალექტს.

აშშ-ში აგორებული საპროტესტო ტალღის გათვალისწინებით, ფეისბუკ-სტატუსის თემად სტრუქტურული რასიზმი და დასავლური ცივილიზაცია რომ შეარჩია, ზემოთ განხილული სტატიის ძირეული ჩავარდნების შემხედვარე, რა გასაკვირია, რომ სტატუსები სტატიისგან, საბოლოოდ, მხოლოდ სიტყვების რაოდენობით განსხვავდებოდეს? როგორც სტატიაშია მორღვეული ემპირიულ კონკრეტიკასა და თეორიულ აბსტრაქციას შორის პროპორცია, სტატუსებშიც ნოდია, ისევ განყენებული, ემოციებს აუყოლებელი მეცნიერის პოზიციიდან გვიცხადებს, რომ რასიზმის ინდივიდუალური ფაქტების მიღმა სტრუქტურული რასიზმის დასტური არ არსებობს, და მოგვიწოდებს, რასიზმზე ჩვენი მორალური აღმფრთხილებიდან დაუდევრად არ გამოვიტანოთ გადაჭარბებული დასკვნები. საერთოდ, შთაბეჭდილება იქმნება, რომ ემპირიაში არათუ იმის საბუთს ვერ ვიპოვით, რომ კონკრეტული რასისტული ქმედება საკუთარი თავის მიღმა სისტემურ პრობლემაზეც მიუთითებს, არამედ თითქოს სამყაროში მხოლოდ ცალკეული ფაქტები არსებობს, რომლებიდანაც ვერასდროს დავასკვნით უფრო კომპლექსურ და აბსტრაქტულ საგანთაშორის კავშირებზე. სამაგიეროდ, სტატიაში დაცდილი ფსევდო-პოზიტივისტური რიტორიკა “ადვილად გაზომვადი მაჩვენებლების” შესახებ ნოდიას საშუალებას აძლევს, მისთვის სასურველი სიმართლის გასატანად, მოიშველიოს რამდენიმენაირი რასობრივი ტიპაჟის ამერიკელი პოლიციელის ფოტოსურათი, როგორც აშშ-ს პოლიციის მრავალეთნიკური შემადგენლობის “თვალსაჩინო” დასტური, შემდგომ კი ამ იზოლირებული ემპირიული ერთეულიდან განაზოგადოს, რომ აშშ-ში სტრუქტურული რასიზმი არ არსებობს. ნოდიასთვის, “ფაქტია”, რომ შავკანიანები აშშ-ში უფრო ხშირად არღვევენ კანონს, მაგრამ ამავედროულად ისიც იცის, რომ ამას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ფესვებში ჩამოიბაზე უარს ამბობს; სამაგიეროდ, გვარწმუნებს, რომ პოლიციური რეპრესიის რასისტული ჩარჩო ამის მიზეზი არ არის, თითქოს ვინმე ამტკიცებდეს, რომ პოლიცია *მიზეზია* სტრუქტურული რასიზმისა ან სტრუქტურული რასიზმი *მხოლოდ* პოლიციის პრობლემაა.

ბოლოს მონობასთან რასიზმის კავშირსაც ეხება, მაგრამ აფრიკელებით ვაჭრობაში ბრალს ისე შეახოცავს თავად ადგილობრივ ელიტებს, რომ დასავლელი კოლონიალისტები სრულიად მშრალეები გამოვიდნენ. მეტიც, აშშ-ში ისტორიულად მოქმედი მონათმფლობელობა და რასიზმი ისევ დასავლეთს მოუბრუნდება კომპლიმენტად და ღირსებად, რადგან დასავლეთმა საკუთარ თავშივე ჰპოვა მათი დამღევსი იდეური და მორალური რესურსი. ნოდია გვეუბნება: “აფრიკელთა მონობა შავი ლაქაა ამერიკის ისტორიისთვის” - და დასძენს: “მაგრამ ის სწორედ ამერიკისთვისაა შავი ლაქა, რადგან ამერიკა თავისუფლების იდეაზე იყო დამყარებული და მონობის ინსტიტუტი ამასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა.”²¹ ის თავისუფლება, რისი დროშაც ამერიკის რევოლუციამ ააფრიალა, მართლაც იყო მონობის პირდაპირი ანტონიმი. მაგრამ აქ პრობლემა არა თავისუფლების, არამედ მონობის გაგებაშია. თავისუფლების შესახებ XVIII საუკუნის დასავლურმა დისკურსმა მონობა გადააქცია ფეოდალური თვითმპყრობელობის უღელქვეშ ტანჯვის მეტაფორად, და ეს სწორედ იმ დროს, როცა მონობას როგორც პრაქტიკულ ეკონომიკურ რეალობას, შაქრის პლანტაციებში თუ სხვაგან, არნახული მასშტაბებისთვის მიედწია. თავისუფლებისთვის ბრძოლა პრინციპულად სულაც არ ეწინააღმდეგებოდა მონობას, რადგან თავისუფლების თეთრი იდეა, პირველ რიგში, უპირისპირდებოდა მონობას, როგორც მეტაფორას, მაგრამ არა - მონობას, როგორც რეალობას.²² რთულია, მონათმფლობელი ლიბერალი ჯონ ლოკის მკითხველმა და მასწავლებელმა ნოდიამ ამ გაორების შესახებ არ იცოდეს. მით უფრო ყალბია მის მიერ ნახმარი “მონობის” ერთმნიშვნელოვანება, რითაც მონათმფლობელობის გაუქმება ისევ და ისევ მონათმფლობელთა ღირსებად მოინათლება.

ნოდია ზედმიწევნით იმეორებს ლოგიკას, რომლისთვისაც, მაგალითად, ნაციზმის დანაშაული კი არ ამსხვრევს “ევროპის მითს“, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო აძლიერებს მას,²³ რადგან შემდეგნაირად მსჯელობს: კი ჩაიდინეს საშინელება, მაგრამ სამაგიეროდ რა მაგრად მოინანიეს! სტატუსი იქნება თუ სტატია, ნოდია ებლაუჭება ინტელექტუალურ მონოპოლიას ქართული საზოგადოებისათვის იმის თარგმნაზე, თუ რა არის დასავლეთი და მოდერნულობა. მთავარი აქ ის არაა, თუ რა იდეებისა და ღირებულებების გაბატონებას მიაწერს “დასავლურ ცივილიზაციას“; სიმპტომური, უპირველეს ყოვლისა, ნოდის მუდმივი მოთხოვნილებაა, ჭარბი სიზუსტით განსაზღვროს, თუ ვინ ფლობს საავტორო უფლებებს მოდერნულობის სიკეთეებზე და ვინაა მათი ქველი გამავრცელებელი. ნოდისთვის ეს უსათუოდ ის დამპყრობლები არიან, ვისგანაც არასოდეს წამოსულა მათ მიერ ნაქადაგებ ღირებულებათა ჭეშმარიტი უნივერსალიზაციის ინიციატივა. ხოლო, ვისგანაც ეს ინიციატივები მოდიოდა და მოდის, იმათი ადგილი ნოდისეულ ისტორიაში არ არის.

ნოდის დებულებათა გასაბათილებლად საკმარისზე მეტი “ფაქტიც“ მოიპოვება, სტატისტიკაც და სისტემური ანალიზიც. მაგრამ ეს არაა ამოცანა. სტატისა და სტატუსში ერთნაირად გამოვლენილი არსებითი სამეცნიერო ჩავარდნების გათვალისწინებით, რომლებიც თავადვე აშიშვლებს ვერშეკოწიწებული არგუმენტების მიღმა დამალულ იდეოლოგიურ მიკერძოებას, ნოდის მსგავსი საჯარო ფიგურისადმი ერთადერთ მართებულ მიდგომად რჩება, ის აქციო კრიტიკული დაკვირვების *ობიექტად*. სხვა თუ არაფერი, თავად ნოდია 1980-იან წლებში წარმოადგენდა ქართულ ნაირსახეობას ჰუმანისტური მარქსიზმისა, რომელიც, სოციალისტური ბანაკის მასშტაბით, სტალინისშემდგომი შიდა კრიტიკისა და რეფორმირების უაღრესად ღირებული იდეური მცდელობა იყო.²⁴ 1980-იანი წლებიდან დღემდე განვლილი ინტელექტუალური ბიოგრაფიით, ის ცოცხალი კარდიოგრამა და ინსტიტუციური მეხსიერებაა იმ სააზროვნო და ინსტიტუციური გარდატეხების და წყვეტების, რაც ქვეყანამ პოლიტიკურ-ეკონომიკური რეჟიმების ცვლილებებთან ერთად გაიარა. ნოდია ამავდროულად სამეცნიერო ლიტერატურის ბრწყინვალე მთარგმნელია. მაგრამ რასაც დღეს აკეთებს, კოლონიური ლიტერატურის პერსონაჟ თარჯიმანს უფრო მოგვაგონებს, რომელსაც კოლონიზატორის ენის ცოდნა თავის წილ ძალაუფლებას ანიჭებს და უწიგნურ გლეხს სასამართლოში უთარგმნის. ნოდის დღევანდელი ჟესტის უადგილობა იმაში მდგომარეობს, რომ ის კოლონიურ ადმინისტრაციასა და ადგილობრივებს შორის თარჯიმნის როლის თამაშს აგრძელებს მაშინაც, როცა მისი ეს სამსახური აღარავის სჭირდება.

¹ მენინგი წარმოაჩენს იმ ფუნდამენტურ როლს, რაც 1866-1885 წლებში შეასრულა უშუალოდ გაზეთმა “დროებამ“ ქართულენოვანი საჯარო სივრცის ჩამოყალიბებაში, და ამისთვის კომპლექსურად აანალიზებს გაზეთის ბეჭდვისა და გავრცელების ინფრასტრუქტურას, ჟანრობრივ ფორმებს, გაზეთის დისკურსის მიერ წარმოსახულ (ევროცენტრულ) გეოგრაფიასა თუ სხვადასხვა საავტორო სტრატეგიებს (მაგალითად, არჩევანს ფსევდონიმსა და საკუთარ სახელს შორის), რაც, თავის მხრივ, ავტორთა განსხვავებული სოციალური მიკუთვნებულობებით განისაზღვრებოდა. იხ. Paul Manning, *Strangers in a Strange Land: Occidental Publics and Orientalist Geographies in Nineteenth-Century Georgian Imaginaries*, Brighton, MA: Academic Studies Press, 2012. 2010-იანი წლებიდან ფეისბუქის როლი კერძოდ ქართველი ჟურნალისტების მუშაობაში და პოლიტიკოსების საჯაროობაში გაანალიზებული აქვს თეო ქავთარაძეს. იხ. Teo Kavtaradze, „Mainstream Media and Facebook: A case Study of Georgian Television Journalists“, MA Thesis, University of Sussex,

2019. ფეისბუქის ინფრასტრუქტურის მენინგისეულ მატერიალურ ანალიზზე დაყრდნობით შესაძლებელი იქნებოდა საჯარო ინტელექტუალთა მიერ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ტექნიკებისა და ძალაუფლებრივი დინამიკის კონკრეტული ანალიზიც.

² Ghia Nodia, „Revisiting the concept: Georgia’s multiple modernizations”, in: Giga Zedania (ed.), *Modernization in Georgia. Theories, Discourses and Realities*, Bern/Berlin: Peter Lang, 2018, გვ. 29-67. ნოდის სტატიიდან შემდგომში მოყვანილი ციტატების თარგმანი ჩემია და მათი დამოწმებისას ტექსტის შიგნიდან მივუთითებ ორიგინალის გვერდს.

³ “ჰეგელის დიალექტიკა თავდაყირა დგას. საჭიროა იგი გადმოვაციროთ, რათა მისტიკურ გარსს შიგნით რაციონალური მარცვალ ადმოვაჩინოთ.” კ. მარქსი, *კაპიტალი*, ტომი პირველი, სახელგამი, თბილისი, 1954, გვ. 22.

⁴ იხ. მაგალითად, 1980-იანი წლების უაღრესად საინტერესო ნაშრომები გაი ნოდის ავტორობით, მათ შორის: „ფოიერბახის შესახებ მარქსის მეექვსე თეზისის ინტერპრეტაციისთვის“, *მაცნე. ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის სერია*, 1982/1, გვ. 14-22. გაი ნოდის პუბლიკაციების სია იხ. შემდეგ ბმულზე: <https://faculty.iliauni.edu.ge/arts/giorgi-nodia/>.

⁵ ამგვარ აღწერას გვთავაზობს ნილს ჯილმანი ამერიკული “მოდერნიზაციის თეორიის” მისეულ გენეალოგიაში. იხ. Nils Gilman, *Mandarins of the Future. Modernization Theory in Cold War America*, Baltimore/London: Johns Hopkins University Press, 2003, გვ. 47-56.

⁶ შდრ. გევინ სლეიდის კვლევები ვარდების რევოლუციის დროინდელ პოლიტიკისა და პენიტენციური სისტემის რეფორმების შესახებ, მათ შორის ქართულად: გევინ სლეიდი, “სასჯელი და სახელმწიფოს მშენებლობა პოსტსაბჭოთა საქართველოში”, მთარგმნ. ნინო კარანაძე, https://emc.org.ge/uploads/products/covers/%E1%83%92%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C_%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98_1591873206.pdf

⁷ “განმარცვად” ვთარგმნი თამთა ხალვაშის მიერ პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის შედეგად ადამიანების მიერ განცდილი მატერიალური და კულტურული დაბეჩავების აღმწერ ცნებას dispossession. იხ. Tamta Khalvashi, „The horizons of Medea: economies and cosmologies of dispossession in Georgia“ in: *Journal of the Royal Anthropological Institute* 24 (4), გვ. 804-825.

⁸ შდრ. Jürgen Habermas, *Der philosophische Diskurs der Moderne*, Frankfurt a.M.: Suhrkamp, 1985, გვ. 10-11; Gilman, *Mandarins of the Future*, გვ. 7.

⁹ შდრ. Susan Buck-Morss, „Hegel and Haiti“, in: *Critical Inquiry*, 26 (4), 2000, გვ. 821-865. თავისთავად იდეოლოგიურია ის წარმოდგენაც, თითქოს “დასავლეთი” ქრისტიანობის დაბადებიდან ახალ დრომდე უწყვეტ კონტინუუმს ქმნიდეს, რაც ვერ აგვიხსნის, რატომ ყავდათ ევროპულ შუა საუკუნეებში ფაქტობრივი მონები, და ვერც იმას, თუ როგორ იქცა ესპანურ-პორტუგალიური ექსპანსიის გარიჟრაჟზე სწორედ ქრისტიანული თეოლოგია რასისტული იერარქიების დადგენისა და, შემდგომ, რასობრივად დაბალზე გაბატონების ლეგიტიმაციის წყაროდ. იხ. Enrique Dussel, *The Invention of the Americas. Eclipse of the „Other“ and the Myth of Modernity*, trans. Michael D. Barber, New York: Continuum, 1995; Walter Dignolo, *The Darker Side of Western Modernity. Global Futures, Decolonial Options*, Durham: Duke University Press, 2011, გვ. 86-92.

¹⁰ ჰეგელისეული ისტორიის ფილოსოფიის ამ ტენდენციაზე შდრ. Theodor W. Adorno, *Zur Lehre von der Geschichte und von der Freiheit (1964/1965)*, Frankfurt a.M.: Suhrkamp, 2006.

¹¹ გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, *ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე*, თბილისი, 2001, გვ. 239.

¹² “მოდერნიზაციის თეორიის” სწორხაზოვან ოპტიმიზმზე იხ. Gilman, *Mandarins of the Future*.

¹³ იხ. ენრიკე დიუსელი, “ევროცენტრიზმი და მოდერნულობა (ფრანკფურტის ლექციების შესავალი)“, მთარგმნ. სოსო ჭაუჭიძე, <https://emc.org.ge/ka/products/enrike-diusseli-evrotsentrizmi-da-modernuloba>; ვალტერ მინიოლო, “კოლონიურობა: დასავლური მოდერნულობის ბნელი მხარე (შესავალი)“, მთარგმნ. ნინო მიქაშვიძე, *სამხრეთივ არსებობს. თარგმანების კრებული. ნაწილი 2*, EMC, 2019, გვ. 46-75.

¹⁴ ეს ნოდის მით უფრო ათავისუფლებს რაიმე ტიპის ვალდებულებისა თუ მოტივაციისგან, რომ ცოტათი მაინც გასცდეს საკუთარი თეორიული აპარატის სიღატაკს, სამუელ ჰანტინგტონი იქნება ეს, “ცივილიზაციებს” შორის გადაულახავ განსხვავებებზე სპეკულაციით, ფრენსის ფუკუიამა და საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე მისი საზეიმო ფერხული, თუ XIX-დან XXI საუკუნეში გადმოშტარი ისეთი შოვინისტი იმპერიალისტი, როგორც ნაილ ფერგიუსონია, თავისი პრიმიტიული დიქტომიით “დასავლეთსა” და “დანარჩენს” შორის.

¹⁵ ჰომი ბაბასთან მიზანმიმართული ცნების შესახებ იხ. Homi K. Bhabha, *The Location of Culture*, London/New York: Routledge, 2004 (1994), გვ. 121-131.

¹⁶ იხ. Talal Asad, *Formations of the Secular: Christianity, Islam, Modernity*, Stanford: Stanford University Press, 2003, გვ. 12-16.

¹⁷ Shmuel N. Eisenstadt, „Multiple Modernities“, in: *Daedalus*, 129 (1), 2000, გვ. 1-29.

¹⁸ იხ. Giga Zedania, „Introduction: Modernization in Georgia: Theories, Discourses, Realities“ in: *Modernization in Georgia*, გვ. 15. გიგა ზედანია აღნიშნავს, რომ მოდერნიზაცია უბრალოდ თეორია კი არ არის, არამედ დისკურსიც, მთელი თავისი ნორმატიული და წინარემეცნიერული დაშვებებითა და სიმბოლური დატვირთვებით (12). ნოდია ვითომ “მოდერნიზაციის თეორიის ფართო ისტორიას” აგებს, მაგრამ ეს თეორია, საბოლოოდ, თვითონ უკვე მოცულია მოდერნიზაციის დისკურსით, რომელიც, თავის მხრივ, სხვა არაფერია, თუ არა მოდერნულობის რეალობის ფეტიში.

¹⁹ იხ. Dipesh Chakrabarty, *Provincializing Europe: Postcolonial Thought and Historical Difference*, Princeton: Princeton University Press, 2000.

²⁰ იხ. Manning, *Strangers in a Strange Land*, განსაკუთრებით გვ. 272-285.

²¹ http://www.tabula.ge/ge/verbatim/172927-nodia-monoba-rom-cudia-es-vicit-dasavluri-civilizaciis-tskalobit?fbclid=IwAR1Jd9sDjsaptiQS-_5rGw-Wu0hyI1_Y1s17CXDeAs5D0aMEHYxliLNTy_8

²² იხ. Buck-Morss, „Hegel and Haiti“.

²³ Asad, *Formations of the Secular*, გვ. 162.

²⁴ ამ ფართო საზოგადოებრივი პროექტის შესახებ უფრო ვრცლად იხ. Nikolay R. Karkov, Zhivka Valiavicharska, „Rethinking East-European Socialism: Notes Toward an Anti-Capitalist Decolonial Methodology“, in: *Interventions. International Journal of Postcolonial Studies*, 2018.